



ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამა	დიპლომირებული სტომატოლოგი
---------------------------------	----------------------------------

უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა	300 ECTS
პროგრამის დამტკიცების აქტი	რექტორის 2018 წლის 07 მაისის N1/14 ბრძანებით
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი თამარ ლომიძე; თანახელმძღვანელი სოფიო ფუთურიძე

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) და რომელიც მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ამ შემთხვევაში პირს უნდა უდასტურდებოდეს ქართული ენის ცოდნა B2 დონეზე.</p> <p>დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p>
--	---



პროგრამის სტრუქტურა:	სულ: 300 კრედიტი მათ შორის: ა) ზოგადი მოდული - 31 კრედიტი ბ) კვლევითი კურსები - 6 კრედიტი ბ) მედიკო-ბიოლოგიური კურსები - 69 კრედიტი დ) თერაპიული სტომატოლოგიის კურსები - 33 კრედიტი ე) ქირურგიული სტომატოლოგიის კურსები - 30 კრედიტი ვ) ორთოპედიული სტომატოლოგიის კურსები - 33 კრედიტი ზ) ბავშვთა სტომატოლოგია - 47 კრედიტი თ) კლინიკური კურსები - 4 კრედიტი ი) არჩევითი კურსები - 10 კრედიტი
-----------------------------	--

პროგრამის აქტუალობა და შეთავაზების მიზეზი	საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა, მოსახლეობის რიცხვონობის ზრდა, სადაზღვევო ბაზრის განვითარება, ეკონომიკური ზრდა და რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვონობის ზრდამ გაზარდა მოთხოვნა კვალიფიცირებულ შრომით რესურსებზე ჯანდაცვის და მათ შორის სტომატოლოგიის სფეროში. ბოლო 5 წლის განმავლობაში შეინიშნება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ სტუდენტების ინტერესის ზრდა. გარდა ამისა, სტომატოლოგიის მიმართულებით სწავლა მოთხოვნადია, სხვადასხვა კვლევების მიხედვით ახალგაზრდები სტომატოლოგიას განიხილავენ პრესტიჟულ და მალაღანაზღაურებად პროფესიად. რასაც ადასტურებს ის, რომ სტომატოლოგიის ანაზღაურება წლიდან წალამდე იზრდება და ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი ხდება. აღიშნულმა საკითხებმა განაპირობა პროგრამის აქტუალობის დასაბუთება და მისი შეთავაზება.
--	--

პროგრამის მიზნები:	პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი და მაღალი დარგობრივი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეეძლება ბიოსამედიცინო მეცნიერებებზე დამყარებული სტომატოლოგიის სხვადასხვა მიმართულებების სიღრმისეული, სისტემური ცოდნისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების საფუძველზე, დარგის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, პრობლემის იდენტიფიცირება და მისი მულტიდისციპლინურ გარემოში გადაჭრა დარგის
---------------------------	---



	პროფესიული ღირებულებების გათვალისწინებით; ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობის გაცნობიერებით, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.
--	---

სწავლის შედეგები:	
დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:	

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებულს შეუძლია: <ul style="list-style-type: none">• აღწეროს, გაიაზროს და გაანალიზოს ბიოსამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები და პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების სტრუქტურას, განვითარების თავისებურებებს, მათში მიმდინარე ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ პროცესებს, პათოლოგიური პროცესების განვითარების ეტიოლოგიისა და პათოგენეზის ღრმა და სისტემურ ცოდნას.• განიხილოს უჯრედული და ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონები, ორგანიზმის იმუნიტეტის ფორმები.• აღწეროს და განიხილოს ზოგად სომატური დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა, მათი კავშირი სტომატოლოგიურ დაავადებებთან, მკურნალობის მეთოდები.• აღწეროს პირის ღრუსა და მისი ორგანოების ანატომია, ემბრიოლოგია, ფიზიოლოგია, პათოლოგია.• პირის ღრუს სტომატოლოგიური დაავადებების იდენტიფიცირება, ეტიოლოგიის, კლინიკის, დიაგნოსტიკური და პრევენციის მეთოდების განსაზღვრა და კრიტიკული გააზრება; დაავადების შესაბამისი დიფერენცირება და მკურნალობის უახლესი პრინციპებისა და მიდგომების შერჩევა და პროგნოზირება.• თანამედროვე საბჭენი მასალების ცნობა და მათი თავისებურებების, გამოყენების ტექნიკისა და პრინციპების, კბილის აღდგენის მეთოდების და პრინციპების განხილვა და გაანალიზება.
------------------------------	---



	<ul style="list-style-type: none">• სტომატოლოგიაში გამოყენებული სამკურნალო და საანესთეზიო საშუალებების იდენტიფიცირება, კლასიფიცირება, სამკურნალო საშუალებების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის განხილვა, წამლების დოზირებისა და პრეპარატებზე ორგანიზმის რეაქციის სახეების აღწერა და განსაზღვრა.• აღწეროს სტომატოლოგიური სამსახურის ორგანიზაცია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, პროფილაქტიკური ღონისძიებების ფორმები, განვითარების ასაკობრივი პერიოდები და მათთვის დამახასიათებელი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი, პირის ღრუსა და კბილების განვითარების თავისებურებები, განსაზღვროს სტომატოლოგიური დაავადებების რისკ-ფაქტორები და პრევენციის მეთოდები, ახსნას პირის ღრუს ჰიგიენის აუცილებლობა, აღწეროს დენტოლოგიის პრინციპები;• განმარტოს და განსაზღვროს ზოგადი და ადგილობრივი გაუტკივარების სახეები, ჩვენებები და უკუჩვენებები, გართულებები, რეანიმაციის პრინციპები და მეთოდები, აღწეროს საანესთეზიო საშუალებები, მათი შერჩევის პრინციპები.• სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული მასალების, ანაწყოებისა და აპარატების ჩამოთვლა, კლასიფიცირება, იდენტიფიცირება და მათი თავისებურებების განმარტება.
უნარები	კურსდამთავრებულს შეუძლია: <ul style="list-style-type: none">• სტომატოლოგიური პაციენტის ანამნეზის შეკრება, ავადმყოფის ობიექტური და დამხმარე გამოკვლევის მონაცემების შეფასება, მათი შეჯამება და კრიტიკული ანალიზი, ავადმყოფის ისტორიის წარმოება.• პირის ღრუსა და კბილების დაავადებების რისკ-ფაქტორებისა და პრევენციის მეთოდების განსაზღვრა, პირის ღრუს ჰიგიენური ღონისძიებების შემუშავება.• ბავშვთა, მოზარდთა და ზრდასრული ასაკის კონტიგენტის პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ორგანოების თერაპიული (ანთებადი და არაანთებადი, მაგარი და რბილი ქსოვილების, ინფექციური, ალერგიული, სპეციფიური), ქირურგიული (ტრავმული, სიმსივნური, ნერვული სისტემის, განვითარების მანკები და ანომალიები), ორთოპედიული, ორთოდონტიული დაავადებების გამოკვლევების ჩატარება და აუცილებლობის განსაზღვრა, დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდის განსაზღვრა, ფანტომებზე სამკურნალო ღონისძიებების დემონსტრაცია,



	<p>ქირურგიული მანიპულაციების ჩატარება, ექიმის ასისტირება, პაციენტების მომზადება სტომატოლოგიური პროცედურებისათვის.</p> <ul style="list-style-type: none">• ზოგადი და ადგილობრივი გაუტიკვარების ჩვენებებისა და უკუჩვენებების განსაზღვრა, ადგილობრივი გაუტიკვარების არჩევა, დემონსტირება და გამოყენება, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული მასალების, ანაწყოებისა და აპარატების შერჩევა, რეანიმაციული ღონისძიებების განსაზღვრა.• ბავშვთა, მოზარდთა და ზრდასრული ასაკის კონტიგენტის პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარება: ინდექსების განსაზღვრა,• დაზიანების ხარისხის დადგენა, პროფილაქტიკური საშუალებების მომზადება და გამოყენება, შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.• თანამედროვე საბუნებისმეტყველო მასალების დიფერენცირება, შერჩევა და გამოყენება.• ვიზუალური, ობიექტური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული და პათომორფოლოგიური გამოკვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი, შეფასება, დასკვნების ჩამოყალიბება და დიაგნოზის განსაზღვრა სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით• გამოკვლევის შედეგებისა და დიაგნოზის შესაბამისი სამკურნალო ღონისძიებების დაგეგმვა, პროგნოზირება და გამოყენება.• სამკურნალო საშუალებების რელევანტურად შერჩევა მათი ჩვენებებისა და უკუჩვენებების გათვალისწინებით.• ზეპირი და წერილობითი მოხსენების გაკეთება პაციენტის მდგომარეობის შესახებ.• პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.• პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია.• ინფორმირებული თანხმობის მისაღებად პაციენტთან კომუნიკაცია და შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება, კონფლიქტურ სიტუაციაში ადექვატური კომუნიკაციის დამყარება და პაციენტთან/ნათესავებთან.• კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე ეფექტური წერილი და ზეპირი კომუნიკაცია.• ჯგუფში მუშაობა, მონაცემების დამუშავება, გადაწყვეტილებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება.• დაავადებასთან დაკავშირებით პაციენტისა და მისი ნათესავებისათვის ახსნა-განმარტების, რჩევის მიცემა.
--	---



პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none">• საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიება და ცოდნის გამდიდრება, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა,• უწყვეტი სტომატოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერების უნარი.• პროფესიული ეთიკის ფარგლებში პაციენტის ინტერესებისა და კონფიდენციალურობის დაცვა.• დარგის ეთიკური რეგულაციების გამოყენება პაციენტის მკურნალობის დროს.• პროფესიულ ღირებულებათა დაცვა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში მუშაობა.• მონაწილეობის მიიღება სტომატოლოგიის სფეროსა და ზოგადად, ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესში.
---	---

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	<p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:</p> <p>დისკუსია-დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება. შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study). დემონსტრირების მეთოდი პრაქტიკული მეთოდები ახსნა-განმარტებითი მეთოდი ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება გონებრივი იერიში (Brain storming) სწავლა სწავლებით (Learning by teaching (LdL)) აუდიო-ვიზუალური მეთოდი როლური და სიტუაციური თამაშები პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება</p>
--	---



	შენიშვნა1: სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (ზემოდასახელებული კომპონენტების არჩევანი) ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისთვის ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი ადგენს (ირჩევს) ინდივიდუალურად თემატიკის გათვალისწინებით.
--	---

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.) დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none">• აქტივობის შეფასებას;• შუალედური გამოცდის/გამოცდების შეფასებებს;• დასკვნითი გამოცდის შეფასებას. <p>სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p>
---	---



	<p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. სასწავლო კურსში სტუდენტის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს.</p> <p>შეფასების კომპონენტები:</p> <ul style="list-style-type: none">• შუალედური შეფასებები მაქსიმუმ- 60 ქულა;• დასკვნითი გამოცდა მაქსიმუმ- 40 ქულა რომელიც, თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიცავს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასების ნაწილს. <p>სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით დაგროვებული აქვს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 40% (24 ქულა).</p> <p>დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე დააგროვა დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50% (20 ქულა).</p>
--	--



	<p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს; შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერიითი/ზეპირი/ტესტური ფორმით. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერიითი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.</p> <p>სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში საგნის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით.</p> <p>ტესტი</p> <p>დახურული კითხვა</p> <p>ღია კითხვა/თეორიული საკითხი/თემა</p> <p>ქვიზი</p> <p>ქეისი/კლინიკური შემთხვევის განხილვა/ სიტუაციური ამოცანა</p> <p>რეფერატი</p> <p>პრეზენტაცია</p> <p>ფანტომებზე მუშაობა/პრაქტიკული უნარების შეფასება</p> <p>როლური თამაშები</p> <p>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</p> <p>პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)</p>
--	---



	შენიშვნა: სალექციო კურსის თემები და სამუშაო ჯგუფში მუშაობის თემატიკა ერთნაირია. სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, იმავე თემაზე ჯგუფში მუშაობას პრაქტიკული შედეგი აქვს და სტუდენტები ადვილად იგებენ და ითვისებენ შესასწავლ მასალას.
სწავლის გაგრძელების საშუალება	კურსდამთავრებულს შუძლია სწავლა გააგრძელოს დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების/რეზიდენტურის) სასწავლო პროგრამის ფარგლებში ან უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე.
დასაქმების სფეროები	დიპლომირებული სტომატოლოგის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმ-სტომატოლოგად.
პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	პროგრამის ხორციელება შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), კომპიუტერული რესურს-ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), საკონფერენციო დარბაზი, შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, სტომატოლოგიური კაბინეტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის რეალიზების მიზნით შესაბამისი მემორანდუმები/ხელშეკრულებები გაფორმებულია სამედიცინო კლინიკებთან.
პროგრამის ადამიანური რესურსები	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.